აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

01-04/89

28.09.2022

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფაკულტეტის საბჭოს ადგილმონაცვლე წევრის არჩევნების ჩატრების თარიღისა და ადგილის, კანდიდატთა რეგისტრაციის ვადებისა და კანდიდატის მიერ წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხის დამტკიცების შესახებ

ს ს ი პ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდებისა და ს ს ი პ -აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კოდექსისა და შესაბამისი ფაკულტეტის დებულების შესაბამისად ვბრძანებ:

მუხლი 1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სლავური ფილოლოგიის დეპარტამენტში ჩატარდეს ფაკულტეტის საბჭოს ადგილმონაცვლე არჩევნები.

მუხლი 2. არჩევნები ჩატარდეს 2022 წლის 26 ოქტომბერს 12 საათიდან 16 საათამდე. აუდიტორია № 3316 (მისამართი: ქუთაისი, თამარ მეფის ქ. №59);

მუხლი 3. კანდიდატების რეგისტრაცია მოხდეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში 2022 წლის 10 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრის ჩათვლით 12 საათიდან 16 საათამდე; მისამართი თამარ მეფის ქუჩა №59, I კორპუსი, აუდიტორია №1138.

მუხლი 4. უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიამ უზრუნველყოს არჩევნების ორგანიზებულად ჩატარება.

მუხლი 5. არჩევებში მონაწილეობის მსურველებმა, უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ) ცნობა უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სამსახურიდან უნივერსიტეტში დაკავებული აკადემიური თანამდებობის შესახებ.
გ) განცხადება უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის სახელზე არჩევნებში მონაწილეობის სურვილის შესახებ.

მუხლი 6. ბრძანება საჯარო გაცნობის მიზნით გამოიკრას თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ გვერდზე.

მუხლი 7. ბრძანების გამოკვრა თვალსაჩინო ადგილას (მათ შორის ფაკულტეტის საინფორმაციო დაფაზე) დაევალოს უნივერსიტეტის საარჩევნი კომისიას და ფაკულტეტის დეკანს.

მუხლი 8. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ- გვერდზე განთავსება დაევალოს მარკეტინგის, პროექტების და ღონისძიებების მართვის სამსახურს.

მუხლი 9. კონკურსანტების მიერ პრეტენზიების წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2022 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით 16 საათამდე.

მუხლი 10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი: /როლანდ კოპალიანი/

საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე: / მინდია ბერეკაშვილი/